# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №19–12

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის 14 დეკემბერს ქ. გორში

**შემსყიდველი** – საქართველოს შეიარაღებული ძალების, სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის მე-5 ქვეითი ბრიგადის მეთაურის ვ/ პოლკოვნიკ **როლანდ ძნელაძის** სახით.

**მისამართი:** გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-2 კმ, ს.კ. 212918967

**მიმწოდებელი – ი.მ. „დავით ფანიაშვილი"**ს.კ.59001004340

**მისამართი:** ქ. გორი, ჭავჭავაძის ქუჩა №61. ტელ: 599 10 58 08

**ხელმძღვანელი: დავით ფანიაშვილი**

**საბანკო რეკვიზიტები:** პროკრედიტ ბანკი ანგარიში №GE39PC0143600100029388

ერთის მხრივ – **შემსყიდველი** და მეორეს მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების დადების საფუძველი**

**მიმწოდებელი** იღებს ვალდებულებას მიაწოდოს **შემსყიდველს** ამ ხელშეკრულების №1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნული **საქონელი/მომსახურება** ხელშეკრულების პირობებისა და ფასების ცხრილში აღნიშნული ხარისხის, რაოდენობის და ფასის შესაბამისად.

**საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერების და ავეჯის გარდა (CPV კოდი 30100000), სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები (CPV კოდი 44400000), ავეჯის აქსესუარები (CPV კოდი 39200000), კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები (CPV კოდი 30200000). სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარები(CPV კოდი 42900000).**

(საქონლის/მომსახურების მოკლე აღწერა)

1.1. ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. **შემსყიდველი** იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

1.3. ხელშეკრულების დადების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტი და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 22 იანვრის N40 ბრძანება.

2. **ხელშეკრულების ფასი**

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მაჩვენებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია №1 დანართში (ფასების ცხრილი).

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს:

**280,00 (ორას ოთხმოცი) ლარი და 00 თეთრი**

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.3. საქონლის/მომსახურების ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი მოიცავს **მიმწოდებლის** ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და **შემსყიდველის** საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. **საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის წესი**

3.1. საქონლის მიწოდებას/მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს **მიმწოდებელი** ამ ხელშეკრულების №1 დანართში (ფასების ცხრილი) მითითებულ ვადებში.

3.2. **მიმწოდებელი** ვალდებულია საქონლის მიწოდებისას/მომსახურების გაწევისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაცია მათ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტაცია და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

3.1. **შემსყიდველი** უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის/მომსაურების შემოწმება/კონტროლი რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს **(მე-5 ქვეითი ბრიგადის შტაბის G-4-ის ტექნიკური ქვეგანყოფილების დაგეგმვისა და კონტროლის უფროსი ოფიცერი დავით მაკარაძე - პირადი № 28001036380).**

3.2. **შემსყიდველი** უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის პარტიის/მომსახურების მიღებაზე, თუ იგი უხარისხოა, ან არ იქნება თანმხლები დოკუმენტაცია სრული მოცულობით, ან დარღვეული იქნება მიწოდების ვადები ან სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.3. საქონლის გადაცემა/მომსახურების გაწევა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით: მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა და/ან სხვა დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას/მომსახურების გაწევას მიმწოდებლისგან შემსყიდველზე.

3.4. ამ ხელშეკრულების 3.5 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმ ზიანზე ეკისრება **მომწოდებელს,** ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის **შემსყიდველზე.**

3.5. **მიმწოდებელი** ვალდებულია გადასცეს ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

**4. ანგარისწორების წესი**

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული/მომსახურებული საქონლის ღირებულება, ამ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებით.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3 გადახდის ფორმა: ნაღდი ან <u>უნაღდო</u> (ხაზი გაესვას).

4.4 მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება.

4.5 მიწოდების თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

**5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა**

5.1. **შემსყიდველი** უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს **მიმწოდებელს** საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით..

5.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში **მიმწოდებელი** უფლებამოსილია დააკისროს **შემსყიდველს** საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

5.3. თუ **მიმწოდებელს** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან **შემსყიდველის** მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი და ვადების გადაცილებისთვის დაკისრებული საურავის ჯამური თანხა გადააჭარბებს მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების **2%–ს, შემსყიდველი** უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და **მიმწოდებელს** დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან დარჩენილი მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების **2%-ის** ოდენობით.

5.4. თუ **მიმწოდებელი** განაცხადებს არამოტივირებულ უარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე, **შემსყიდველი** უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 2%.

**6. სხვა პირობები**

6.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და **მოქმედებს 2017 წლის 14 თებერვლამდე.**

6.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკებების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

6.3. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით..

6.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.5. ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

| | |
|---|---|
| **შემსყიდველის მხრიდან** | **მიმწოდებლის მხრიდან** |
| **საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის მე-5 ქვეითი ბრიგადის მეთაური** | **ი.მ. „დავით ფანიაშვილი"** |
| **ვ/პოლკოვნიკი როლანდ ძნელაძე** | |

დანართი №1

2016 წლის 14 დეკემბრის №19-12 ხელშეკრულებასთან

**ფასების ცხრილი**

| № | პროდუქციის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | სპვკოდი | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მარკერი ოვერ. სამუშაო | ცალი | 20 | 30194500 | 1,50 | 30,00 | ქ.გორი ცხინვალის გზატკეცილი მე–2 კმ | 14.01.2017. |
| 2 | მარკერი დაფის | ცალი | 5 | 30194500 | 1,00 | 5,00 | | 14.01.2017. |
| 3 | სტიკერი | შეკვრა | 6 | 44424200 | 3,50 | 21,00 | | 14.01.2017. |
| 4 | სკოჩი დიდი (გამჭვირვალე) | ცალი | 6 | 44424200 | 3,00 | 18,00 | | 14.01.2017. |
| 5 | სკოჩი პატარა (გამჭვირვალე) | ცალი | 20 | 44424200 | 0,25 | 5,00 | | 14.01.2017. |
| 6 | სახაზავი ოფიცრის | ცალი | 5 | 39292500 | 1,50 | 7,50 | | 14.01.2017. |
| 7 | სახაზავი რკინის 1მ. | ცალი | 3 | 39292500 | 6,00 | 18,00 | | 14.01.2017. |
| 8 | ჭიკარტი პლასტმასის თავიანი | ცალი | 6 | 30197100 | 0,80 | 4,80 | | 14.01.2017. |
| 9 | ჭიკარტი ფოლადის თავიანი | ცალი | 6 | 30197100 | 0,50 | 3,00 | | 14.01.2017. |
| 10 | სტეპლერი | ცალი | 3 | 30197100 | 3,00 | 9,00 | | 14.01.2017. |
| 11 | საკანცელარიო დანა | ცალი | 3 | 30197100 | 3,00 | 9,00 | | 14.01.2017. |
| 12 | სტეპლერი დიდი (ავეჯი) | ცალი | 1 | 30197100 | 18,00 | 18,00 | | 14.01.2017. |
| 13 | ლამინირება A4 | შეკვრა | 1 | 42994220 | 25,00 | 25,00 | | 14.01.2017. |
| 14 | ლამინირება A3 | შეკვრა | 1 | 42994220 | 50,00 | 50,00 | | 14.01.2017. |
| 15 | ფანქარი ფერადი | შეკვრა | 3 | 30192300 | 3,00 | 9,00 | | 14.01.2017. |
| 16 | საწერი კალამი | ცალი | 29 | 30194500 | 0,30 | 8,70 | | 14.01.2017. |
| 17 | საშლელი | ცალი | 6 | 30192100 | 0,50 | 3,00 | | 14.01.2017. |
| 18 | მარკერის წასაშლელი სითხე | ცალი | 3 | 30192920 | 6,00 | 18,00 | | 14.01.2017. |
| 19 | CD დისკი | ცალი | 30 | 30234300 | 0,60 | 18,00 | | 14.01.2017. |
| | | | | | **სულ** | **280,00** | | |

"შემსყიდველის მხრიდან"

მე-5 ქვეითი ბრიგადის მეთაური

ვ/პოლკოვნიკი **როლანდ ძნელაძე**

,,მიმწოდებლის მხრიდან,,

ი.მ. ,,დავით ფანიაშვილი"